

შპს „ISOLA-G“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური ანგარიშგება	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები	
1. კომპანია და მისი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძვლები	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
5. ამონაგები	19
6. რეალიზაციის თვითღირებულება	20
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	20
8. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	21
9. მოგების გადასახადი	21
10. ძირითადი საშუალებები	22
11. გადახდილი ავანსები	23
12. მარაგები	23
13. გაცემული სესხები	23
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
15. კაპიტალი	24
16. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
17. სესხები	25
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
19. ფინანსური რისკის მართვა	26
20. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	28
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29
მმართველობის ანგარიშგება	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ISOLA-G“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ISOLA-G“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლებისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2021 წლის 2 დეკემბერს, შესაბამისად ვერ შევძელით დავსწრებოდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს საანგარიშგებო წლის დასაწყისში. ჩვენ ვერც ალტერნატიული საშუალებით შევძელით დავრწმუნებულიყავით მარაგების რაოდენობის სისწორესა და მდგომარეობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ასახული იყო 3,995,417 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე იყო მოდიფიცირებული. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი გავლენას ახდენს ოპერაციების ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაზე, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები კომპანიის ვალდებულებების ძირითად ნაწილზე, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მთავარი მომწოდებლის მიმართ არსებულ სავაჭრო ვალდებულებას. ჩვენთვის ალტერნატიული პროცედურებითაც შეუძლებელი იყო აღნიშნული ვალდებულების სისრულის და სიზუსტის დადასტურება, რომელიც 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 127,536 ლარის და 3,346,962 ლარის ოდენობით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ ვალდებულებებთან მიმართებით ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

2021 წლის ნოემბრის თვიდან შეიცვალა კომპანიის ბუღალტერიის მომსახურე ორგანიზაცია და ასევე თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი. რეალიზაციის თვითღირებულების ნაწილი აღნიშნული ცვლილებიდან 2021 წლის ბოლომდე შეადგენდა 2,208,116 ლარს, რომლის სისრულისა და სიზუსტის დასადასტურებლად ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, მათ შორის ვერც ალტერნატიული გზებით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და

სხვა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - კომპანიის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას,

რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად,

გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადების უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხდენილია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი, 2022 წელი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ISOLA-G“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „ISOLA-G“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლებისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2021 წლის 2 დეკემბერს, შესაბამისად ვერ შევძელით დავსწრებოდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს საანგარიშგებო წლის დასაწყისში. ჩვენ ვერც ალტერნატიული საშუალებით შევძელით დავრწმუნებულიყავით მარაგების რაოდენობის სისწორესა და მდგომარეობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ასახული იყო 3,995,417 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტორული მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე იყო მოდიფიცირებული. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი გავლენას ახდენს ოპერაციების ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაზე, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები კომპანიის ვალდებულებების ძირითად ნაწილზე, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მთავარი მომწოდებლის მიმართ არსებულ სავაჭრო ვალდებულებას. ჩვენთვის ალტერნატიული პროცედურებითაც შეუძლებელი იყო აღნიშნული ვალდებულების სისრულის და სიზუსტის დადასტურება, რომელიც 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 127,536 ლარის და 3,346,962 ლარის ოდენობით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნულ ვალდებულებებთან მიმართებით ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

2021 წლის ნოემბრის თვიდან შეიცვალა კომპანიის ბუღალტერიის მომსახურე ორგანიზაცია და ასევე თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი. რეალიზაციის თვითღირებულების ნაწილი აღნიშნული ცვლილებიდან 2021 წლის ბოლომდე შეადგენდა 2,208,116 ლარს, რომლის სისრულისა და სიზუსტის დასადასტურებლად ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, მათ შორის ვერც ალტერნატიული გზებით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იქნებოდა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და

სხვა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - კომპანიის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას,

Member of Nexia International

რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად,

გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავეთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადების პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადების უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შენარჩუნებაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხედენილია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი, 2022 წელი

თბილისი, საქართველო



შპს „ISOLA-G“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	28,445,199	18,166,223
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(14,969,439)	(9,158,347)
საერთო მოგება		13,475,760	9,007,876
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(9,712,603)	(7,554,532)
საოპერაციო მოგება		3,763,157	1,453,344
არასაოპერაციო მოგება/(ხარჯი), წმინდა		17,032	(44,447)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	8	(782,817)	(452,773)
ფინანსური შემოსავალი	13	307,031	266,209
ფინანსური ხარჯი	17	(138,053)	(168,955)
მოგება დაბეგვრამდე		3,166,350	1,053,378
მოგების გადასახადი	9	-	-
წლის წმინდა მოგება		3,166,350	1,053,378
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,166,350	1,053,378

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ნინო ხულეღიძე

მთავარი ბუღალტერი - სოლომონ
ექვთიმიშვილი

შპს „ISOLA-G“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)


	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	28,445,199	18,166,223
რეალიზაციის თვითღირებულება	6	(14,969,439)	(9,158,347)
საერთო მოგება		13,475,760	9,007,876
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(9,712,603)	(7,554,532)
საოპერაციო მოგება		3,763,157	1,453,344
არასაოპერაციო მოგება/(ხარჯი), წმინდა		17,032	(44,447)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	8	(782,817)	(452,773)
ფინანსური შემოსავალი	13	307,031	266,209
ფინანსური ხარჯი	17	(138,053)	(168,955)
მოგება დაბეგვრამდე		3,166,350	1,053,378
მოგების გადასახადი	9	-	-
წლის წმინდა მოგება		3,166,350	1,053,378
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,166,350	1,053,378

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

6. ნოქიელიძე

დირექტორი - ნინო ხუბულიძე

მთავარი ბუღალტერი - სოლომონ
ექვთიმეიშვილი



შპს „ISOLA-G“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	3,052,755	4,047,307
არამატერიალური აქტივები		5,790	2,265
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,058,545	4,049,572
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	1,374,690	3,995,417
გაცემული სესხები	13	3,212,332	3,676,597
მისაღები პროცენტი	13	731,184	391,058
გადახდილი ავანსები	11	646,935	454,658
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	157,772	149,770
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	3,157,103	840,143
საგადასახადო აქტივი		73,559	-
სულ მიმდინარე აქტივები		9,353,575	9,507,643
სულ აქტივები		12,412,120	13,557,215
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	15	10,422,347	7,255,997
სულ კაპიტალი		10,422,347	7,255,997
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	-	1,219,560
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	1,219,560
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	17	867,883	907,959
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	1,121,890	4,169,572
საგადასახადო ვალდებულება		-	4,127
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,989,773	5,081,658
სულ ვალდებულებები		1,989,773	6,301,218
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,412,120	13,557,215

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ნინო ხულევიძე

მთავარი ბუღალტერი - სოლომონ
ექვთიმიშვილი


	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	3,052,755	4,047,307
არამატერიალური აქტივები		5,790	2,265
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,058,545	4,049,572
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	1,374,690	3,995,417
გაცემული სესხები	13	3,212,332	3,676,597
მისაღები პროცენტი	13	731,184	391,058
გადახდილი ავანსები	11	646,935	454,658
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	157,772	149,770
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	3,157,103	840,143
საგადასახადო აქტივი		73,559	-
სულ მიმდინარე აქტივები		9,353,575	9,507,643
სულ აქტივები		12,412,120	13,557,215
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	15	10,422,347	7,255,997
სულ კაპიტალი		10,422,347	7,255,997
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	17	-	1,219,560
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	1,219,560
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	17	867,883	907,959
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	1,121,890	4,169,572
საგადასახადო ვალდებულება		-	4,127
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,989,773	5,081,658
სულ ვალდებულებები		1,989,773	6,301,218
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,412,120	13,557,215

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

6. ნოღედიძე

დირექტორი - ნინო ხუთელიძე

მთავარი ბუღალტერი - სოლომონ
ექვთიმიშვილი



შპს „ISOLA-G“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2019		7,951,651	7,951,651
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,053,378	1,053,378
დივიდენდის გამოცხადება	15	(1,749,032)	(1,749,032)
31 დეკემბერი 2020		7,255,997	7,255,997
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,166,350	3,166,350
31 დეკემბერი 2021		10,422,347	10,422,347

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ნინო ხულევიძე

მთავარი ბუღალტერი - სოლომონ
ექვთიმიშვილი

შპს „ISOLA-G“


საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2019		7,951,651	7,951,651
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,053,378	1,053,378
დივიდენდის გამოცხადება	15	(1,749,032)	(1,749,032)
31 დეკემბერი 2020		7,255,997	7,255,997
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,166,350	3,166,350
31 დეკემბერი 2021		10,422,347	10,422,347

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

ნ. ხელთელიძე
დირექტორი - ნინო ხულელიძე

მთავარი ბუღალტერი - სოლომონ
ექვთიმეიშვილი



9-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ISOLA-G“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		45,094,955	31,268,337
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(36,187,394)	(26,047,624)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(2,084,674)	(2,876,064)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		6,822,887	2,344,649
პროცენტამდე და დაბეგვრამდე			
გადახდილი პროცენტი	17	(138,053)	(168,955)
გადახდილი გადასახადები		(2,999,834)	(773,000)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		3,685,000	1,402,694
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხების მიღება	13	-	-
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული საბანკო სესხები	17	-	-
საბანკო სესხების დაფარვა	17	(1,189,417)	(810,423)
დივიდენდის გადახდა	15	-	(1,749,032)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობიდან		(1,189,417)	(2,559,455)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		2,495,583	(1,156,761)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	840,143	2,100,790
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	8	(178,623)	(103,886)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	3,157,103	840,143

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ნინო ხულევიძე

მთავარი ბუღალტერი - სოლომონ
ექვთიმიშვილი


	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		45,094,955	31,268,337
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(36,187,394)	(26,047,624)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(2,084,674)	(2,876,064)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე		6,822,887	2,344,649
გადახდილი პროცენტი	17	(138,053)	(168,955)
გადახდილი გადასახადები		(2,999,834)	(773,000)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		3,685,000	1,402,694
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან გაცემული სესხების მიღება	13	-	-
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან მიღებული საბანკო სესხები	17	-	-
საბანკო სესხების დაფარვა	17	(1,189,417)	(810,423)
დივიდენდის გადახდა	15	-	(1,749,032)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობიდან		(1,189,417)	(2,559,455)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)		2,495,583	(1,156,761)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16	840,143	2,100,790
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	8	(178,623)	(103,886)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს	16	3,157,103	840,143

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

ნ. ხუთელიძე

დირექტორი - ნინო ხუთელიძე

მთავარი ბუღალტერი - სოლომონ
ექვთიმიშვილი



1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ISOLA-G“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2012 წლის 5 ივლისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404947439. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა იმპორტირებული ტანსაცმლითა და აქსესუარებით. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია შპს „პან ეუროფიან ფეშენ გრუფი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 404590518).

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები იყვნენ: ჰაიკ ხაჩატრიან 50%-იანი წილით და შპს „ზეტ ენდ ეი“ 50%-იანი წილით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორი იყო ნინო ხულევიძე, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი დავით მჭედლიძე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მსგავსად. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია მიმდინარე შენიშვნაში ქვემოთ, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა და მიზნები, მიმდინარე გეგმები, გაუნაწილებელი მოგების ოდენობა, საოპერაციო საქმიანობის მომგებიანობა, დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და საკუთრების შემთხვევაში ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება არანაკლებ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.5040	4.0233

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ.

დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს

ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამოწვევის იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური

ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს -ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო

პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვეველობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები,

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებული არიან აღიარონ

გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ას შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების

დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების

მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების რეალური ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება

„რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიჯნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL).

ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ასახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას მსს ფას-ის შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია დავალიანების ამოღების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე.

პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

	30 დღეზე		180 დღეზე		
გადაგადაცილების დღეები	ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან სავაჭრო დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს. დეტალები კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 19-ე შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან მის ფასს-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა სრულად მოხდება თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება სავაჭრო ვალდებულება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება).

სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შემენახე. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები**

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

კომპანია არ ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
ავეჯი და მოწყობილობები	3-20
საიჯარო ფართის კაპიტალური რემონტი	2-18
ოფისის აღჭურვილობები	3-5

შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
პროგრამული უზრუნველყოფა	5
სხვა არამატერიალური აქტივები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული გადახდილი ავანსები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

იჯარები

ხელშეკრულების დაწყებისას საწარმო აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

თითოეული საიჯარო შეთანხმება მეიჯარისათვის კლასიფიცირდება საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების პერიოდების გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე ადრე არ შეწყვეტს იჯარას.

კომპანიის მიერ მიღებული იჯარა კლასიფიცირებულია საოპერაციო იჯარად. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით იმ შემთხვევაში თუ სხვა სისტემატური საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს საიჯარო აქტივის გამოყენებით მიღებული სარგებლის შემცირების მოდელს/სქემას).

კომპანია, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს) იჯარის ვადის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი

შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა. კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ფეხსაცმლის, ბავშვთა ტანსაცმლის და ქალის აქსესუარების საცალო ვაჭრობა, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული

ფასების მიხედვით. კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

კომპანიის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქციაზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნების და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გადახდილი ანაზღაურების სრული ან ნაწილობრივ ანაზღაურება;
- სხვა პროდუქტის მიღება დაბრუნების სანაცვლოდ;

დაბრუნების უფლებით გაყიდული პროდუქციის აღრიცხვისათვის კომპანია აღიარებს:

- ამონაგებს გადაცემული პროდუქციისთვის, ანაზღაურების იმ ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც კომპანია მოელის;
- ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას; და
- აქტივს თავის უფლებასთან დაკავშირებით, მომხმარებლისგან მიიღოს ის პროდუქცია, რომელთა ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულებას დააკმაყოფილებს კომპანია;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

მარაგების გაუფასურება

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, მათ შორის გაცემული სესხების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. მსს ფასს-ით დადგენილი სტანდარტის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

5. ამონაგები

ამონაგები რეალიზაციის ტიპებისა და გადახდის საშუალებების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
უნადლო ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავლები	16,534,416	9,892,378
ნადლი ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავლები	11,774,238	8,139,731
სხვა შემოსავლები	136,545	134,114
სულ ამონაგები	28,445,199	18,166,223

შპს „ISOLA-G“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

5. ამონაგები (გაგრძელება)

	2021	2020
ტანსაცმელი	20,537,298	12,500,140
ფეხსაცმელი	5,524,992	4,506,191
აქსესუარები	2,382,909	1,159,892
სულ ამონაგები	28,445,199	18,166,223

6. რეალიზაციის თვითღირებულება

საქონლის თვითღირებულება რეალიზაციის ტიპების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ტანსაცმელი	10,627,790	6,301,822
ფეხსაცმელი	3,063,717	2,271,777
აქსესუარი	1,277,932	584,748
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	14,969,439	9,158,347

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
*საიჯარო ხარჯი	4,916,313	3,520,142
ხელფასის ხარჯი	2,300,978	1,851,917
ცვეთა და ამორტიზაცია	1,026,190	1,058,163
ბანკის მომსახურების ხარჯი	313,147	171,770
კომუნალური ხარჯი	232,081	166,277
მარკეტინგის ხარჯი	203,711	-
საკონსულტაციო ხარჯები	125,052	98,735
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	55,000	61,650
რეკლამის ხარჯი	44,564	55,545
ქონების გადასახადი	35,983	41,850
ტრანსპორტირების ხარჯი	34,659	31,839
საკანცელარიო ხარჯი	22,093	19,019
დაზღვევა	21,127	32,026
რემონტის ხარჯი	20,168	-
მივლინება	9,364	10,652
**ფრანჩიზი	-	110,323
სხვა ხარჯი	352,173	324,624
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9,712,603	7,554,532

*იჯარის ხარჯი მოიცავს მოკლევადიან საიჯარო გადასახდელებს და ცვლად იჯარას, რომელიც დამოკიდებულია სავაჭრო ობიექტებიდან მიღებულ ბრუნვაზე და გაიანგარიშება საიჯარო ხელშეკრულებაში მითითებული ფიქსირებული პროცენტის მიხედვით.

** ფრანჩიზის ხარჯი წარმოადგენს კომპანიის მიერ მომწოდებელზე გადახდილ სარეალიზაციო ფასის 50%-სა და იმპორტირებული მარაგების საინვოისო ღირებულებას შორის სხვაობას, რომელსაც კომპანია აღიარებს როგორც ადმინისტრაციულ ხარჯს.

8. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა

საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2021	მოგება	ზარალი	წმინდა ეფექტი
მიღებული სესხი	70,219	-	70,219
გაცემული სესხი	-	(431,169)	(431,169)
ფული და ფულის ეკვივალენტები	30,734	(209,357)	(178,623)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	28,382	(271,626)	(243,244)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	129,335	(912,152)	(782,817)

2020	მოგება	ზარალი	წმინდა ეფექტი
მიღებული სესხი	-	(325,410)	(325,410)
გაცემული სესხი	680,472	-	680,472
ფული და ფულის ეკვივალენტები	37,369	(141,255)	(103,886)
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	548	(717,753)	(717,205)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,256	-	13,256
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	731,645	(1,184,418)	(452,773)

9. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2020 წელს განხორციელდა დაგროვებული მოგების განაწილება, რისთვისაც მოხდა წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის გამოყენება, შედეგად მოგების გადასახადი 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის არის ნული ლარი (2020: ნული ლარი).

შპს „ISOLA-G“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და მოწყობილობები	საიჯარო ფართის კაპიტალური რემონტი	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება				
31 დეკემბერი 2019	2,267,985	3,872,448	49,738	6,190,171
შეძენა	456,383	1,631,856	7,994	2,096,233
გასვლა	(122,625)	(626,184)	(5,664)	(754,473)
31 დეკემბერი 2020	2,601,743	4,878,120	52,068	7,531,931
შეძენა	3,669	16,910	10,545	31,124
გასვლა	-	242	-	242
31 დეკემბერი 2021	2,605,412	4,895,272	62,613	7,563,297
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2019	1,104,890	1,394,346	24,632	2,523,868
ცვეთის დარიცხვა	421,772	627,279	8,841	1,057,892
გასვლის ცვეთა	(91,366)	(303)	(5,467)	(97,136)
31 დეკემბერი 2020	1,435,296	2,021,322	28,006	3,484,624
ცვეთის დარიცხვა	391,942	623,084	10,892	1,025,918
31 დეკემბერი 2021	1,827,238	2,644,406	38,898	4,510,542
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	1,166,447	2,856,798	24,062	4,047,307
31 დეკემბერი 2021	778,174	2,250,866	23,715	3,052,755

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გირავნობაში ჩადებული ჰქონდა საკუთრებაში არსებული და სამომავლო მთელი მოძრავი ქონება, გარდა იმ მარაგებისა/საბრუნავი საშუალებებისა, რომლის რეალიზაციასაც კომპანია ახორციელებს ჩვეული სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები იყო 896,552 ლარი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი - (407,161 ლარი).

შპს „ISOLA-G“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	363,359	307,247
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	283,576	147,411
სულ გადახდილი ავანსები:	646,935	454,658

12. მარაგები

კომპანიის მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საქონელი	1,190,342	3,815,376
სხვა მარაგები	184,348	180,041
სულ მარაგები:	1,374,690	3,995,417

კომპანიის საქონლის შესყიდვის მოკლე საკრედიტო პერიოდიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც ხდება ყოველი წინა კოლექციის ამოყიდვა ჩამოფასებული ღირებულებით, კომპანიას არ აქვს მოძველებული.

კომპანიის მარაგები არ არის დატვირთული მესამე პირის სასარგებლოდ.

13. გაცემული სესხები

	გაცემის თარიღი	სესხის ვადა	საპრ. განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
შპს ლიდერ სისტემი	18/12/2018	-	8.3%	ევრო	2,930,345	3,153,255
შპს ლიდერ სისტემი	30/01/2019	-	8.3%	ლარი	250,000	250,000
შპს ლიდერ სისტემი	26/07/2019	-	8.3%	დოლარი	291,767	228,117
შპს NORK HUNGARY	12/12/2019	12/06/2020	8.0%	ევრო	471,404	436,283
სულ გაცემული სესხები, მათ შორის					3,943,516	4,067,655
ძირი					3,212,332	3,676,597
პროცენტი					731,184	391,058

2018 წელს შპს "ISOLA-G"-მა სესხი გასცა დაკავშირებულ მხარე შპს "ლიდერ სისტემ"-ზე. სესხის სახელშეკრულებო ლიმიტი შეადგენდა 2,000,000 ლარის ეკვივალენტს ევროში - (შემდგომში ევროში ან დოლარში). სესხები გაიცა ტრანშებად: პირველი ტრანში გაიცა 2018 წლის 18 დეკემბერს და შეადგინა 570,000 ევრო - (1,722,540- ლარი), მეორე ტრანში გაიცა 2019 წლის 30 იანვარს რომელიც შეადგენდა 250,000 ლარს, ხოლო მესამე ტრანში გაიცა 2019 წლის 26 ივლისს და შეადგინა 50,000 დოლარი- (141,666 ლარი). მოცემულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 8.3%-ით. სესხი არ არის უზრუნველყოფილი.

ამასთანავე, კომპანიას გაცემული აქვს სესხები არარეზიდენტ კომპანია - შპს "NORK HUNGARY"-ზე. 2021 წლის განმავლობაში კომპანიას არ მიუღია გადახდები გაცემულ სესხზე ძირი და პროცენტი, თუმცა სესხის გაუფასურება არ მოხდა, რადგან 2022 წლის 1 ივლის დადებული სამშხრივი ხელშეკრულების თანახმად, სესხის გადახდის ვალდებულება აიღო კომპანიის დაკავშირებულმა მხარემ შპს ლიდერ სისტემმა. პირველი სესხი გაიცა 2019 წლის 4 ოქტომბერს 40,000 ევროს ოდენობით - (130,144 ლარი), რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს დაიფარა, ხოლო მეორე სესხი გაიცა 2019 წლის 12 დეკემბერს 100,000 ევროს ოდენობით, რომელიც არ არის დაფარული და შეადგენს (320,280 ლარს). მოცემულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 8%-ს.

2021 წელს გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 307,031 ლარი (2020 წელს: 266,209 ლარი).

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეადგენდა 157,772 ლარს. 2020 წლის 31 დეკემბრით კი (149,770 ლარს).

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. საანგარიშგებო წლის ბოლოს კომპანიამ მიმოიხილა სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურებაზე, თუმცა მათი მოცულობიდან გამომდინარე გაუფასურების რეზერვი არ შეუქმნია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე.

კომპანიის პოლიტიკა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შესახებ და გამოყენებული მატრიცა მოცემულია მე-2 შენიშვნაში.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ 19-ე შენიშვნაში.

15. კაპიტალი

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა ნულ ლარს, შესაბამისად კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან.

2021 წელს არ მომხდარა დივიდენდის გამოცხადება და გაცემა ხოლო, 2020 წელს გამოცხადდა და გაიცა 1,749,032 ლარის ოდენობით დივიდენდი.

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,369,981	57,785
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	584,050	682,829
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	201,072	97,529
საგარანტიო	2,000	2,000
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	3,157,103	840,143

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც უმნიშვნელო რისკის მქონე. ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომელთა რეიტინგი 2021 წლის 31 დეკემბრით იყო: BB- (2020 წლის 31 დეკემბრით ასევე BB-).

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ 19-ე შენიშვნაში.

შპს „ISOLA-G“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. სესხები

	31 დეკემბერი 2021				31 დეკემბერი 2020	
	განაკვეთი	კურსი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
საქართველოს ბანკი #1	7.5%	აშშ	03/05/2019	03/05/2022	264,724	396,950
საქართველოს ბანკი #2	7.5%	აშშ	26/12/2019	26/12/2022	603,159	822,610
			სულ		867,883	1,219,560

კომპანიას სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული აქვს სესხი საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად.

ათვისებულ თანხაზე პროცენტის დარიცხვა ხდება წლიური - 6 თვიან LIBOR განაკვეთს დამატებული 4,6%, მაგრამ არანაკლებ 7.5%-ისა. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთი 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მერყეობდა 8 – 10.5% შუალედში. (2020- 8-დან 9%).

კომპანიას სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული აქვს ორი სესხი: N#CA000326986-5871785 სესხი, რომელიც კომპანიამ აიღო 2019 წლის 3 მაისს - 500,000 დოლარის ოდენობით - (1,352,550 ლარი), ხოლო მეორე სესხი - N#CA000386208-6431454, კომპანიამ აიღო 2019 წლის 26 დეკემბერს ასევე 500,000 დოლარის ოდენობით - (1,437,300 ლარი). სესხებზე ვრცელდება LIBOR-ის (ბანკთაშორის სესხებზე საშუალოშეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წარმოდგენილი ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე მონაწილე ბანკების მიერ სხვადასხვა ვალუტითა და ვადით).

2021 და 2020 წლის განმავლობაში LIBOR-ის დოლარის განაკვეთი იყო დადებითი მნიშვნელობით, თუმცა საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით დასარიცხი პროცენტი მოცემული სესხების შემთხვევაში მერყეობდა - 4.6%-დან 7.5%-ამდე დამატებული LIBOR-ის განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბაზისო განაკვეთზე.

მოცემული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის დაკავშირებული მხარის, შპს „ლიდერ სისტემ“-ის თავდებობით, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით ვალდებულია იღებს პირობითი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მის საკუთრებაში არსებული ქონება ბანკის სასარგებლოდ დათმოს/გადასცეს. თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა 1,000,000 აშშ დოლარი ან მისი ეკვივალენტი სხვა ვალუტაში, ბანკში დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.

2021 და 2020 წელს სესხებს დაერიცხა 138,053 და 168,955 ლარის საპროცენტო ხარჯი, წლების შესაბამისად.

შპს „ISOLA-G“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

17. სესხები (გაგრძელება)

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ 19-ე შენიშვნაში.

სესხების რეკონსილაცია 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021
	ეროვნული ვალუტა
1 იანვარი	2,127,519
სესხების აღება	-
საპროცენტო ხარჯი	138,053
გადახდილი პროცენტი	(138,053)
სესხის ძირის დაფარვა	(1,189,417)
საკურსო სხვაობის გავლენა	(70,219)
31 დეკემბერი	867,883

	2020
	ეროვნული ვალუტა
1 იანვარი	2,612,532
სესხების აღება	-
საპროცენტო ხარჯი	168,955
გადახდილი პროცენტი	(168,955)
სესხის ძირის დაფარვა	(810,423)
საკურსო სხვაობის გავლენა	325,410
31 დეკემბერი	2,127,519

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	829,255	3,518,584
საიჯარო ვალდებულებები	187,240	650,988
გადასახდელი ბონუსები	48,985	-
მიღებული ავანსები	47,945	-
გადასახდელი ხელფასი	8,465	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,121,890	4,169,572

საქონლის შესყიდვის საშუალო საკრედიტო პერიოდი 2021 წელს 4 დღეს შეადგენს (2020: 4 დღე). სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიას აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა ვალდებულების დროულად გადახდა.

კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის რისკის მიმართ იხილეთ 19-ე შენიშვნაში.

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,956,031	742,614
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	157,772	149,770
გაცემული სესხები	3,943,516	4,067,655
სულ ფინანსური ინსტრუმენტები	7,057,319	4,960,039

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

2021 წლის 31 დეკემბერი	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ	1,263,033	(883,577)	379,456
ევრო	4,123,054	(5,541,140)	(1,418,087)
სულ	5,386,087	(6,424,717)	(1,038,631)

2020 წლის 31 დეკემბერი	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ	186,172	(2,127,519)	(1,941,347)
ევრო	3,649,470	(3,321,032)	328,438
სულ	3,835,642	(5,448,551)	(1,612,909)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს მოგება/ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობას გაცვლით კურსში მოსალოდნელი გონივრული ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, იმის ფონზე, რომ ყველა სხვა ცვლადი რჩება მუდმივი:

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2021	2020
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	113,837	(582,404)
ევროს 30%-ით გამყარება	(425,426)	98,531
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	(113,837)	582,404
ევროს 30%-ით გაუფასურება	425,426	(98,531)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელობა ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ასახულია კომპანიის სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით:

31 დეკემბერი 2021	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,157,103	-	3,157,103
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	157,772	-	157,772
გაცემული სესხები	3,943,516	-	3,943,516
სულ ფინანსური აქტივები	7,258,391	-	7,258,391
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	(867,883)	-	(867,883)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,121,890)	-	(1,121,890)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(1,989,773)	-	(1,989,773)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	5,268,618	-	5,268,618

31 დეკემბერი 2020	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	840,143	-	840,143
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	149,770	-	149,770
გაცემული სესხები	4,067,655	-	4,067,655
სულ ფინანსური აქტივები	5,057,568	-	5,057,568
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	(907,959)	(1,219,560)	(2,127,519)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,169,572)	-	(4,169,572)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(5,077,531)	(1,219,560)	(6,297,091)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(19,963)	(1,219,560)	(1,239,523)

20. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

შპს „ISOLA-G“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ურთიერთობა		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გაცემული სესხები		2,861,873	3,276,022
შპს ლიდერ სისტემი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	2,861,873	3,276,022
სულ გაცემული სესხები		3,212,332	3,676,597
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,909	1,734
შპს ლიდერ სისტემი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	1,909	1,734
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,121,890	4,169,572
მისაღები პროცენტი		731,184	391,058
შპს ლიდერ სისტემი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	698,734	391,058
სულ მისაღები პროცენტი		731,184	391,058
საპროცენტო შემოსავალი		110,148	234,527
შპს ლიდერ სისტემი	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	110,148	234,527
სულ საპროცენტო შემოსავალი		307,031	266,209

წლის განმავლობაში ხელმძღვანელობასა და სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2021	2020
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	197,641	155,015

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ სს საქართველოს ბანკიდან აღებული სესხის ძირი დაფარა ჯამურად 601,798 ლარის ოდენობით. სესხი აშშ N 5871785 მაისის თვეში დაიფარა სრულად - 265,111 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე სესხი აშშ N 6431454 დაიფარა 336,687 ლარის ოდენობით.
- 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა 2,875,000 ლარის ოდენობის დივიდენდი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „ISOLA-G“

2021 წელი

შინაარსი

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა	2
2. კომპანიის ფილიალები	2
3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ.....	2
4. კომპანიის მართვა და სტრუქტურული ერთეულები	4
5. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები	4
6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა	5

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობის აღწერა

შპს „ISOLA G“ დაფუძნებულია 2012 წელს. კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. კომპანიის საქმიანობის ორგანიზაციისათვის პარტნიორთა კრების მიერ იქმნება დირექცია, რომელსაც სათავეში უდგას დირექტორი და რომელიც მინდობილობის გარეშე წარმოადგენს კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე. ის ორგანიზებას უწყევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ISOLA G“-ის 100% წილის მფლობელია შპს „პან ეურიფიან ფემენ გრუფი“.

შპს „ISOAL G“-ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, სუნამოებით და აქსესუარებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. ობიექტებში წარმოდგენილი პროდუქციის წარმოება ხდება ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყანაში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებს 5 სავაჭრო ობიექტი, რომლის ფართებიც იჯარით არის აღებული.

კომპანიას გააჩნია მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, როგორც ახალი ბრენდების შემოყვანის, ისე არსებულების განვითარების კუთხით. ამასთან მუდმივად ხდება ბაზრის მონიტორინგი სხვადასხვა მეთოდებით, როგორცაა დაკვირვება, გამოკითხვა, სტატისტიკა, ბაზრის კვლევა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ანგარიშგებები.

2. კომპანიის ფილიალები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 5 ფილიალს, რომელთაგან სამი ფილიალი დაფუძნდა 2019 წლამდე პერიოდში, ხოლო საბურთალოს სითი მოლში და ბათუმის მეტრო სითიში გაიხსნა ფილიალები 2020 და 2019 წლებში.

კომპანიას არ გააჩნია ონლაინ მაღაზია.

კომპანია მუდმივად ცდილობს ქვეყნის მასშტაბით წარმოადგინოს მრავალფეროვანი პროდუქცია და საქმიანობის სფეროს ფარგლებში გააფართოოს მომხმარებლების რაოდენობა.

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ასეთია:

	2021	2020	ცვლილება
ამონაგები	28,445,199	18,166,223	(10,278,976)
საერთო მოგება	13,475,760	9,007,876	(4,467,884)
საოპერაციო მოგება	3,763,157	1,453,344	(2,309,813)
წლის წმინდა შემოსავალი	3,166,350	1,053,378	(2,112,972)

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

	2021	2020
ამონაგები	28,445,199	18,166,223
რეალიზაციის თვითღირებულება	(14,969,439)	(9,158,347)
საერთო მოგება	13,475,760	9,007,876
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(9,712,603)	(7,554,532)
საოპერაციო მოგება	3,763,157	1,453,344
არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	17,032	(44,447)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	(782,817)	(452,773)
ფინანსური შემოსავალი	307,031	266,209
ფინანსური ხარჯი	(138,053)	(168,955)
მოგება დაბეგვრამდე	3,166,350	1,053,378
მოგების გადასახადი	-	-
წლის წმინდა მოგება	3,166,350	1,053,378
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის მთლიანი სრული შემოსავალი	3,166,350	1,053,378

	2021	2020	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	47%	50%	-3%
საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/ამონაგები)	13%	8%	+5%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	11%	6%	+5%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო აქტივები)	24%	8%	+16%
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო კაპიტალი)	36%	14%	+22%

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა:

ფინანსური კოეფიციენტები	2021	2020
სულ მიმდინარე აქტივები	9,353,575	9,507,643
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,989,773	5,081,658
სულ კაპიტალი	10,422,347	7,255,997

3. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2021	2020	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	133	149	-16
მაღაზიების რაოდენობა	5	5	+0

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

4. კომპანიის მართვა და სტრუქტურული ერთეულები

კომპანია „ISOLA-G“ სტრუქტურა წარმოადგენს თანამშრომელთა დაქვემდებარების სქემას. სქემაზე თითოეული თანამშრომლისათვის განსაზღვრულია უშუალო ხელმძღვანელის, მაკონტროლებელი პირისა და დაქვემდებარებული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პოზიცია.

- მარკეტინგის დირექტორს პირდაპირ ექვემდებარება მარკეტინგის განყოფილება.
- მაღაზიათა ქსელის ადმინისტრირების განყოფილების უფროსს პირდაპირ ექვემდებარება თანაშემწე და ქსელში არსებული ყველა მაღაზიის მენეჯერი.
- მერჩენდაიზინგის დირექტორს პირდაპირ ექვემდებარება მერჩენდაიზინგისა და გაყიდვების სამსახურები, ასევე ვიზუალური მერჩენდაიზინგის გუნდი.
- მონიტორინგის განყოფილების უფროსს პირდაპირ ექვემდებარება მონიტორინგის სპეციალისტი.
- ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება მოიცავს რამდენიმე სამსახურს: ლოჯისტიკის სამსახური, ტექნიკური სამსახური, , საწყობი, ასევე განყოფილებაში მოიაზრებიან ოფისის მენეჯერები და ოფისის დიასახლისი.

5. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები

2022 წლიდან კომპანია აქტიურად დგამს ნაბიჯებს 2020-2021 წლის პანდემიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად. რისთვისაც:

- მიმდინარეობს მარაგების სიღრმისეული ანალიზი.
- შემუშავდა ახალი მარაგების მართვის კოეფიციენტები, რის მიხედვითაც უფრო სწრაფად და ეფექტურად ხდება შეკვეთების გაკეთება და მომავლის პროგნოზირება.
- გადაიხედა საიჯარო პირობები და კიდევ მიმდინარეობს ამ კუთხით მუშაობა.
- გაძლიერდა გაყიდვების ჯგუფი. შემუშავდა ახალი ანალიტიკური რეპორტები, რომელსაც ცოცხალ რეჟიმში უყურებენ და სწრაფად ახდენენ რეაგირებას.
- გაუმჯობესდა თანამშრომლობის პირობები პარტნიორებთან.
- განახლდა პროგრამა, განახლების შედეგად გავხდით უფრო მოქნილები მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინების კუთხით.

5. კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

კომპანიის მთავარ აქტივს მისი თანამშრომლები წარმოადგენენ. 2019 წელს დაიხვეწა სახელფასო სისტემა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები, რაც მიზნად ისახავს თანამშრომლების მოტივირებას, მათთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფასა და თითოეულ დასაქმებულში სტაბილურობის შეგრძნების გაზრდას. აღნიშნული ცვლილებები დადებითად აისახება თანამშრომლების კეთილდღეობაზე და ეფექტურად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე. შეიქმნა საბონუსო სისტემა, რომლის მიხედვითაც ხდება თითოეულ თანამშრომელზე ხელფასის გაცემა.

6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა

კომპანიის მენეჯმენტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას რისკების განსაზღვრა/მართვაზე. ამისთვის მუდმივად ხდება მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი, მონიტორინგი, მნიშვნელობის განსაზღვრა და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების შემუშავება.

- განვითარებადი ბაზრის რისკები, როგორცაა ხშირად ცვალებადი საგადასახადო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები. რომელიც მოითხოვს ბიზნეს პროცესების ხშირ გადაწყობას, დამატებით ხარჯებს თუ რიგ შემთხვევებში დანაზოგებს. ამ რისკების სამართავად კომპანია იყენებს, როგორც შიდა დაქირავებულ რესურსს, ისე დაქირავებული ჰყავს გარე კონსულტანტები და მათთან ერთად ხდება მოსალოდნელი რისკების შეფასება და გათვალისწინება.
- ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა - რადგან კომპანიის ხარჯების მნიშვნელოვან წილს შეადგენს იმპორტირებული პროდუქცია და ისინი დენომინირებულია აშშ დოლარში ან ევროში, ხოლო კომპანიის შემოსავლები ლარში. ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ძალიან მნიშვნელოვანი რისკია და პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ამ კუთხით მენეჯმენტი გეგმების მიხედვით აანალიზებს და იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა მაგალითად ვალუტის დაზღვევა.

საოპერაციო რისკები

კომპანიისთვის მნიშვნელოვანია სამუშაო პირობების გაუმჯობესება, რაც გამონაკლის შემთხვევებში რთული შესასრულებელია, კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რაც გამოიხატება სასაქონლო მარაგების ღამის საათებში მიწოდებით, რადგან დღის საათებში ყველა ქალაქს განსხვავებული მიდგომა აქვს. ამ მდგომარეობას ართულებს ასევე სავაჭრო ცენტრების სხვადასხვა წესები, რაც კომპანიისთვის საკმაოდ რთული გამოწვევაა, რადგან დასაქმებულებში იწვევს უკმაყოფილებას და კომპანიიდან დენადობის კოეფიციენტის გაუარესებას, ამის გამო მიმდინარეობს მოლაპარაკებები სავაჭრო ცენტრებთან გარკვეული სასაწყობო მეურნეობების გამოსაყოფად და ღამის საათებში პერსონალის უზრუნველყოფა ტრანსპორტით.

სისტემატიურად მოწმდება კომპანიაში შესაძლო გადაცდომები, შექმნილია მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ახდენს გადაცდომების პრევენციას, ატარებს ინვენტარიზაციებს როგორც სასაქონლო მარაგების, ასევე სხვა ძირითადი საშუალებების, რომელიც ძირითადი აქტივია კომპანიის.

6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, რადგან იგი წარმოადგენს საცალო სავაჭრო კომპანიას.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 19).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის

მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მიმდინარე და შესადარის პერიოდში გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 19).

2020 წელს მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო წლის განმავლობაში ორჯერ გვქონდა შეჩერებული საქმიანობა, გაზაფხულზე 2 თვეზე მეტ ხანს და ზამთარში 1 თვე, ასევე შეზღუდული გვქონდა საქმიანობა 2021-ის დასაწყისშიც. შექმნილი ვითარების გამო, მივაღწიეთ საშეღავათო შეთანხმებებს მეიჯარეებთან, ბანკებთან და

6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა (გაგრძელება)

მომწოდებლებთან, რათა კომპანიას მაქსიმალურად აერიდებინა კრიზისული მდგომარეობა.

COVID -19-ის პანდემია, როგორც გლობალური მოვლენა რამდენიმე მიმართულებით წარმოადგენს მნიშვნელოვან საოპერაციო რისკს კომპანიისთვის. პანდემიის შედეგად ქვეყანა აღმოჩნდა მძიმე ეკონომიკურ კრიზისში. სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ტიპის შეზღუდვები, ლარის მკვეთრი გაუფასურება, ინფლაციის მაღალი დონე და უმუშევრობის ზრდა - არის ის საოპერაციო რისკები რომლებთანაც უწევს კომპანიას გამკლავება.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლისთვის მომზადებულ მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ

დირექტორი:

ნინო ხულელიძე

6. კომპანიის წინაშე არსებული რისკების მართვა (გაგრძელება)

მომწოდებლებთან, რათა კომპანიას მაქსიმალურად აერიდებინა კრიზისული მდგომარეობა. COVID -19-ის პანდემია, როგორც გლობალური მოვლენა რამდენიმე მიმართულებით წარმოადგენს მნიშვნელოვან საოპერაციო რისკს კომპანიისთვის. პანდემიის შედეგად ქვეყანა აღმოჩნდა მძიმე ეკონომიკურ კრიზისში. სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ტიპის შეზღუდვები, ლარის მკვეთრი გაუფასურება, ინფლაციის მაღალი დონე და უმუშევრობის ზრდა - არის ის საოპერაციო რისკები რომლებთანაც უწევს კომპანიას გამკლავება.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წლისთვის მომზადებულ მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელების მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

ნ. ხუთელიძე

ნინო ხუთელიძე